


კ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 16

აპრილი 13 1897 წ.

№ 16

შინაარსი: ქრისტე აღდგა. — აწინდელი მოძრაობა კენჭელ კრავსზე მავავედსა. — გრობა ჩვენში, (დასასრული) პ. — ქსა. — სხვა-დასხვა პაპაი, — * * *, ლექსი დ. თოპაშვილისა. — მერეთ ს მეფეს სოლომონ შიორს წერილი თ. ციციანოვიან — იესო ყრმის ყოფა იერუსალიმში. — მაკიაველიზმი გ. წერეთელსა. — მცირე შენიშვნა დარსა. — * * * (კინედაწ), ლექსი ია-ნ. — დათუნაშვილისა. — „აკადის“ კორესპონდენტები. — გუნია და მისი ბეჭდობა გ. წერეთლისა. — წერილი რედაქციის მიმართ. — საქველ-მოქმედოსაჲ. — განცხადებანი.

№ IV „კვიცილის“ გამოვიდა და დატურიდა ხელის მოამწერლებს.

ქრისტე აღდგა!

დღევანდელი დღეა და განიხილეთ
ყოველნი მტერნი მისნი და
ივლტადენ მოსულენი მისნი
პირისგან მისისა!

გითარტე მოაკლდენ კვაძას,
მოაკლდენ, და გითარტე ტვლი
და დაღეს წინაშე ტვლდს!

ესრეთ წარწემდენ ცოდედნი
პირისგან ღვთისა და მართალნი
ისრებდენ!

ესე არს დღე, რომელ ქმნა უფაღ-
მან,
გისრებადეთ და ემუებდეთ მას
შინა!



დაჩაგრულთა აღდგენისა. წლებიანდელა აღდგომა მა-
ინც აღმოსავლეთის შეწუხებულ ქრისტიანობას ნუ-
გეშს სცემს, რომ მათ გამძიმებულ ხოცვა-ჭლეტას
ურწმუნო მავადიანობისგან ბოლო მოეღება და ჩვენც
მათი თანაგონობით გამსჭვალული ვსაოებთ, რომ
იესო ქრისტე, რომელიც ქვეყნისთვის ჯვარს ეცვა
და დარტანჯა, თავის მფარველობას არ მოაკლებს
ურწმუნოებისაგან დამონებულ ერებს და აღადგენს
მათ ისე, როგორც თვით აღდგა მესამე დღეს დიდ-
ებით და წარმატების ნათელი მოჰგანა თვის მსახურ-
თა. ჩვენ გვეგვრა, რომ დიდი ხნით დაჩაგრული აღ-
მოსავლეთის ერები ბოლოს აღგებიან და განთავი-
სუფლდებიან მძიმე უღლისაგან, რომელიც დაადგა
მათ კისერზე ურწმუნეობამ. ამ იმედით გამხრეველ-
ნი მიუღლოცეთ ჩვენს ერს დღევანდელ ქრისტეს აღ-
დგომას და სიხარულით მათთან ერთად წამოვიძა-
ნებთ:

„აღდგენი ღმერთი და განიხილეთ ყოველნი
მტერნი!“..

„ესრეთ წარწემდენ მტრეაღნი და დაჩაგრულ-
ნი ჩხარებდენ!“..“



თელ ქრისტიანობაში დღევანდელი დღე არის
ნიშანი განახლებისა, მწუხარეთა და გაქირე-
ბულთა სიხარულისა, შევიწროებულთა და

ყიხდელი მოძრაობა კუნძულ კრეტასზე.

მისაც შეხედრია შავი ზღვიდან მარმარილოს ზღვით ხმელთა შუა ზღვისაკენ მოგზაურობა, იმას კარგათ ესომება შეენიერი ლავჯარდი ფერთი შემკული ეგვის ზღვა, რომელზედაც აქაიქ ჩაქარჯული მზავალ ფერთად ყვაილებსავით პატარა კიკლადის კუნძულები. ამ კუნძულებში ყველაზე უფრო დიდი და ვრცელი კუნძული კრეტასია. შორიდან მდიდარი ბუნება ამ კუნძულისა, მწეანილოგანი მდლოებით შემკული, ახალისებს მოგზაურის თვალს. მაგრამ ვინც ხმელთა შუა ზღვიდან წამოვა მარმარილოსა და შავი ზღვისკენ, იმას კი ეს კუნძული სულ სხვაფერი ეჩვენება. ის ხელდას უზარ მახარ კედელს, გარუჯული პიტალო კლდეებისაგან აგებული, რომელიც თითქო ჯგებირათ არის გველწული, რომ ეგვის ზღვა განაკერძოვოს ხმელთა შუა ზღვისაგან. აი, ეს ჯგებირი კრეტოსის კუნძულის კლდეებია. იმათ შორის ყველაზე უმაღლესა იდს მთა, რომელზედაც საბერძნეთის მითოლოგიური მოთხრობით ღმერთებს ჰქონათ თავისი ადგილ-სამყოფი გამართული. თვით იდს უმაღლეს მწვერვალზე განსვენებდა თურმე უზენაესი კლასიკური ყოვლის შემოკმედი ღმერთი ზევსი, ანუ ოუმპტერი. დასვლეთის მხარე კრეტოსის კუნძულისა სფაიკის მხარას ეკუთნის; ეს კუთხე მეტათ მთიანი და შეუვალია აქაური ბერძენები ხასიათით და მხენებით ჩვენებურ თუმებს არ ჩამაუყარდებიან. ისინი უძველესი დროიდან ქრისტიანები არიან; მაგრამ მათ სარწმუნოებაში დღემდის ბევრი ძველებური კერპთთავიანის-მცემლობის ჩვეულებანი დარჩენილან, ანუ რუმპტერი, რომელიც ასულდგამულზედა კლასიკური დროის ბერძენებს. ერთი საუკუნეც არ არის მას შემდეგ, რაც ისინი ძველი კლასიკური საომარი იარაღებით იბრძოდნენ: შვილდისჩით, დაწნით, ფარით და აგრეთვე იკოდენ ძველი საბერძნეთის წესზე ფალანგის წყობა. იმათ დღემდის არ დაიწყებიათ უძველესი დროის სამხედრო ცეკვა, რომელსაც ისინი უწოდებენ „პირიხის“. დღეს მართალია კრეტოსის კუნძულზე ბევრი მაჰმადიანი ცხოვრებს, მაგრამ ისინი ოსმალეთში ნუ კი გვინათ, ისინი არიან იგივე ბერძენები, გამაჰმადიანებულები, როგორც ჩვენში გამაჰმადიანებული ქართველები არიან აჭარა-ლივანში და საზოგადოთ ბათუმის მხარაში. ამათში სფაიკოტები მინც დღემდის დარჩენილან ქრისტიანებთ; ძლიერმა ოსმალეთის მთავრობამ საუკუნოების განმავლობაშიაც ვერა დააკლორა იმათ, ჩასაფრებულებს თავიანთ მით-

ვალ მთიან საენებში და მედგრათ მებრძოლოთ თანისუფლებისათვის.

ამ კუნძულზე დგას ზღვის პირათ ძველი ქალაქი კანდია, მაჰმადიანებისგან ნახევრათ დევარჯული. აქ მრავალი ძველებური ნანგრევებია იმ დროისა, როცა ვენეციის რესპუბლიკას ჰქონდა დიდი გავტობა გამართული და მხარე იყო შემკული მდიდარი სასახლეებით. ქალაქიდან ჩამდენიმე საათის სასიარულოზე მდებარებს ძველი გნოსო, სადაც არის მთეუ მინოსის სასახლის ნანგრევი. ბერძენებს რწამთ, რომ მინოსის სული დღესაც დაიარება ამ ნანგრევებში და ელის დროს, როცა იგი კვლავ ადგება და კრეტოსის კუნძულს მიანაქებს თავისუფლებას და უძველეს ღიდებულობას.

1867 წლიდან დაწყებული 1869 წლამდე კრეტას კუნძულზე სუფედა საშინელი ქლუტა-ხოცვა მაჰმადიანობასა და ბერძენებს შორის; მაშინ ოსმალის მხედრობამ მეტათ გაანადგურა აქური სოფლები და ქალაქები, მაგრამ მაგიერთ არც სფაიკოტები აკლებინებულს. ოსმალის ჯარისთვის სფაიკოტები დღითის რისხვათ იყენ მოაგენილინი. აწინდელ მოძრაობას კრეტოსელებისას, როგორც ჩანს, ერთათ-ერთა აზრი აქვს, რომ ოსმალის მთავრობის მტარვლობისგან განთავისუფლდეს: ისინი თხოვეენ წესიერებას და სამართლიანობას, უნდათ თავიდან მოაკილონ ბარბაროსული ძალ-მომარეობა, იყონ პოლიტიკურათ და ეკონომიურათ თავისუფალინი.

წარსულ წამთის პირათ კრეტოსის მეამბოხეთა საიდუმლო კომიტემა გადაწყვიტა მოქმედების დაწყება და ერთმა მუჟა სფაიკოტის განდგომილებმა გამართეს მთეში ოსმალის ჯარის კაცებზე თავდასხმა. ამას შემდეგ გამოაზუხულზე მიელ კუნძულს მოედვა ამბოხება. ოსმალის ჯარები გაოცდნენ, შეესიენ ქრისტიანების სოფლებს და საოცარი ქლუტა-ხოცვა განართვეს; არც ქალი, არც ჩვილი და არც მოხეტეკ ალარ განიკითხეს. მრავალი ქრისტიანის ოჯახობა შეეფარა უცხო ქვეყნელების საელორებში. ვერაპის წარმომადგენლებმა თხოვეეს თავიანთ სახელმწიფოებიდან გემების გამოგზავნა. ზღვის პირათ მდებარე ქრისტიან ბერძენების სოფლებს აკლებამ საშინლოთ გააბრაზა კრეტოსელები. განდგომილები თანდა თან მზავდებოდნენ, ბოლოს დიძიერენ მითიული სფაიკოტებიც. ისინი ჩამოვიერენ რახმებათ თავიანთ მთებიდან და ფაშოს ციხეში შეიშვედღეს ორი ათასი ოსმალის ჯარი. ოსმალეთის მთავრობამ თანდა თან მეტი ჯარი გადამიყვანა კუნძულზე; მაგრამ ასეთმა განკარგულებამ კიდე უფრო გააუცხა ხალხი. ვერც ახალ დანიშნულმა გუბერნატორმა აბდულლათაფაშამ გააწყორა. კრეტოსელებს რომ გაუქირდათ,

გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები ათანას და თხოვეს საბერძნეთის მეფეს გიორგის, შეგვეწვიეთ, თქვენი სისხლი და ხორცი ვართო. საბერძნეთი გულ-ცივით ვერ შეხებდავდა თავის მონათესავე ხალხის აკლესას და იწყო საიღუმლოთ განდგომილების ხელის გამართვა. ის გზავნიდა სამხედრო იარაღით, ტყვია-წამლით და ხოაკით დატერილულ ეგვიპტის კრეტოსანს განდგომილების მისაშველელათ. ამასობაში ოსმალეთის მთავრობამ იმდენი ჯარი გადაუყვანა კუნძულზე, რომ ფაოსის ციხეში დამწყველელი ორი ათასი ოსმალის მხედრობა განათავისუფლა და შემოიკრინა კანის ქალაქში. ამას გარდა ვაგზავნა ჯავშინიანი გემი, დაუშინა ყუმბარები ზღვის პირათ მდებარე სოფლებს და რამდენიმე სოფელი გადაწვა. ევროპის სახელმწიფოებმა საყვედური გამოუცხადეს სულთანს მძიმეწარებრისთვის და მოაშლევინეს ყუმბარების დაშენა.

მაშინ სულთანმა დანიშნა სამოსის თავადი გიორგი ბეროვიჩი ფაშა კრეტოს კუნძულის მმართველათ. ამას გარდა ნება მისცა კრეტოსელებს ხალხის არჩეულეში შეეკრიბა, რომელთაც კრეტოსის ხალხის მღვთმარგობაზე უნდა ეკურნათ. რომ კიდევ უფრო დაეყურებინა განდგომილები, სულთანმა გამოსცა ბძანება: ყველა მეგობრისთვის მივატეიება, რაც აქამდის უწყსობა ჩაიდინსო, ოღონდ დამშვიდდნო.

როცა კრეტოსელ ამორჩეულთა კრება შედგა, წინ წამოაყენეს პალეგას მორიკების წესდებულება, რომლის ძალითაც კრეტოსელებს უნდა გაემართათ თავიანთი საქმის წარმოება, მხოლოდ კუნძულის უმაღლეს მმართველათ უნდა ყოფილიყო სულთანის მიერ დანიშნული სამოქალაქო გუბერატორი ქრისტინიანი; პოლიცია კი ზოგი ქრისტინიანებისგან, ზოგი მამა ღიანებისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.


თუმცა ასეთი წეს-წყობილება კრეტოსელებმა 1878 წელს საკმაოდ მიიხიეს, მაგრამ ახლა ისინი აღარც ამ წესდებულებამ დაეკმაყოფილა. წარსულ ეგვიპტის შედგარეოლოტიკონერებზე გამგებოდა დათმაცხადეს, რომ სულ არ გვირდა ოსმალეთის ქვეშევრდობა; ჩვენ გვირდა საბერძნეთის შევეერთდეთო.

ამ დროდან საბერძნეთი მხნით შეუღლა კრეტოსელების შემოერთების საქმეს და, რაკი ასეთი თამამი ნაბიჯი გადადგა, მეტო ღონე არ ჰქონდა; საომართაც უნდა მომზადებულიყო. გასულ წელს ბაგრამის საბერძნეთში აღძრა ევროპის ხალხებში თანგრძნობა, მეფისწული გიორგი ჯავშინიან ფლოტის მხედრობითაერთად განხდა და დაეძალა მას, მიეშველებნა კრეტოსელებისთვის, როგორც ჯარი, ისე ყოველივე სამხედრო სამზადისი. ამას გარდა გი-

ორგი, საბერძნეთის მეფის შვილი, ძალიან მარჯვით იტყობდა ოსმალეთის გემებს და ნებას არ აძლევდა მათ კრეტოსის კიდებრისათვის ყუმბარები დაეშინათ. ამისთანა მოქმედებამ საბერძნეთისამ ძალიან გააგულისა ერთი მხრით ევროპის სახელმწიფოები და მეორე მხრით სულთანსაც ააღებინა საომართ იარაღი. ამ ორ სახელმწიფოთა შორის უკიდურესი გამწვავება კიდევ უფრო მითი მოხდა, რომ საბერძნეთმა თავისი ჯარი გადასხა კრეტოსის კუნძულზე და კაროლმა საკუთარი ფლიგელ ალუტანტი თან გააყოლა მემბოხეთა მხედართ-მთავრათ.

ამას შემდეგ ეკვი აღარ უნდა ჰქონოდა არაეის, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთ შუა ომი გაიმართებოდა.

მასხაყვლი.



ერობა ჩვენში. *)

(დასსრულა)

წენი ქვეყანა უკვე დაადგა გაერთიანების გზას. რასაკვირველია, ეს გაერთიანება ჯერ ისე მძლავრი არ არის. მაინც ნელ-ნელა ვითარდებიან მისი შემაკავშირებელი ძალები, რომელიც გადაქსასკვენ ერთმანერთში ჩვენი სამშობლოს კუთხეებს. ამას უარს ეყრდნობენ ჰეოლს. ვინ იტყვის დღეს, რომ თუშსა და კანბელს შორის ეკონომიური დამოკიდებულება არ არის? ან ზემო და ქვემო იმერეთი ერთმანეთს არ უცვლიან თავის ნაწარმოებებს? მარა ახლა ჰკითხეთ, ვთქვათ, გურულს, იცნობს იგი იმერეთს, გათვალისწინებული აქვს მისი ვითარება, მისი გაკვირება და დაღიზინება? ვსევდ ჰკითხეთ იმერულს გურიაზე. ეს კიდევ შეიძლება ვაბატოთ ქართველს, რომ კანბელს არ იცნობდეს. მაგრამ განა თვით ქართველიც კი თავის სამშობლოს კარგად იცნობს? შეუძლია მისი სურათი დაეხატოს? აქ, რასაკვირველია, მე განათლებულ პირს ეგულისხმობ. გარდა ზოგადი აზრისა, თქვენ ევრაფერს იტყვით. თქვენ არაუფრო ცნობა ხელში არა ვაქვთ, რომ რაიმე გასაჭირი დაგვატყვეს თავს, სასოწარკვეთილებას უნდა მივეცეთ. გახსენეთ შეკალიდობა იმერეთში. ამ საშინელება წარლენამ ბეჭერი ოჯახი გაალატკა. საზოგადოებამ იკრძოა, რომ დაეზარება საკარო. და წყო ფულების კრეფა. მარა ვის უნდა დავებნათ? ვის უჭირს? რაიდენათ დაზარალდა ქვეყანა?

*) ის. აკვლავი № 14.

პასუხს ვერ მივიღებთ. განა შეიძლება ამისთანა მდგომარეობაში თქვენ სხვაში სიბრაღეული და დახმარების სურვილი გამოიწვიოთ? კარგი კიდევ, რომ შედარებით ხალხი იმდენათ არ დახარალებულა. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამისთანა აქ არა, ვინ იცის, იქნება კიდევ უფრო ძირელი გაქირებება დავადგავთ. ვინ არის მშველელი? რომელი დღესებულება ცდილობს წინდაწინვე შეიტყოს თქვენი მომავალი გაქირებება? არც ერთი. მეორე მაგალითი. ერთ მიყრუებულ ალავას მთებში შემალულად ხეესურები. ისინი დღეს იმდენათ გაქირებულნი არიან, რომ გამარჯვებისას ეი ეშინათ საწყლებს. „როგორც ბარელსა ვით მრავალდენი“, უსაკლებდებენ ერთმანეთს. რომ ამისთანა სავეფლერი აკედინონ, წინდაწინვე ცდილობენ ჩანასახი მოჰკლან. ჩვენთვის ამ საზოგადოარ საქციელს ისინი, როგორც ჩვეულებრივ მივლენას, ისე უტყვიან. ცხადია, რომ ამისთანა შეხედულება მართლაც გამოუთქმელ გაქირებებს უნდა შეექმნა. მართლაც, ხეესურებში შიმშილობა შემთხვევით მოვლენა არ გვერნათ. იქ მუდამ მშენიანი არიან. სილატეე იმდენათ ძლიერია, რომ მაშინ, როდესაც ქიზეყელები ას მანეთობით იხდიან სახელმწიფო და სხვა გადასახადს, აქ კომლზე ერთი მანეთის გამოღებაც უჭირთ. ნათლათ ეხედეთ, რომ ხალხი გადაშენების გზას დადგამია. კითხვა არ უნდა, რომ მას დღი და სისტემატიური დახმარება ექირებება. ვინ გამოიკვლევს მათი სიღატაკის მიზეზებს, ვინ ვადაგვიშლის თვალ წინ მათ ყოფაცხოვრებას და ამით ჩვენ, მათ ძმებს, გავგავებინებებს, რომ შევლან საქიროვო? არაიენ, ვარ და ერთბისა. მართლაც ერობას შეუძლია ქვეყნის დღევანდელი ვითარება საფუძელიანათ შეისწავლოს და თავისი შრომის შედეგი სხვასაც გაუზიაროს. რასაკურთხელა ეს შესწავლა, ეს ერთმანეთის ინტერესების შეგება ნელ ნელა დამაკვირდებს ჩვენში განგრეობენ კავშირს და მოგვიხალხოვებს იმ დროს, როდესაც ერთი მხრის გაქირებება მეორეს „ლახვრათ ეცემა“. რომ ეს ყველაზე უფრო კარგათ ერობას შეუძლია შეასრულოს, მას გვიმტკიცებს თვით საქმე. ჩვენ ვიცით, რომ ყოველ წლის ბოლოს გუბერნატორი ეალდებულება, უმაღლეს მთავრობას წარუდგინოს წლიური ანგარიში და მონახრებანი თავის გუბერნიის მდგომარეობაზე. იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არის, გუბერნატორი თავის კანცელარიის ცნობებს კი არ უფერეს, ის სარგებლობს ერობის მიერ შედგენილი ცნობებით. ეს ხომ მართალია, რომ სანამ ნამდვილი სტატისტიკური ცნობები არ გვექნება, მანამდის არ შეიძლება არავითარი შეგნებული და აწონ-დაწონილი დახმარება მსკოცებლებს. ბევრი შეცდომებიც არის მოსა-

ლოდნელი. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. დღეს იმერეთში სამეურნეო კრიზისი დადგა. სიმინდის ფასი იმდენათ დაეცა, რომ შრომის ნახევარ ფასსაც არ გამოიყიდის, ვასხვაც ბოლო ეღება ხალხი ამას კარგათ გრძნობს და მეურნეობის სხვა დარგებს ებღუტება. ზოგ ადვილს მოჰყავთ თამბაქო, ზოგან ფუტკრის მოშენებას მისდევენ და სხვა; მარა ყველაზე უფრო ეხერხებათ მეაბრეშუმეობა. რაც უნდა იყოს, ხალხს მაინც ექირებება დახმარება, გზის ჩვენება. ერთმა ქუთათურმა, ბ. ა.—ქმ, მოსურნეა ერთი დიდი საქმის დაწყება. დააარსა პატარა ქარხანა, სადაც ასწავლიან აბრეშუმის ამოღებას და ქსოვას. ხალხი მიანყდა ბ. ა.—ს ქარხანას, საქმე მართლაც საქებური არის, მით უმეტესათ, რომ რაკი ქსოვას შეისწავლით, შემდეგ შეგეტლებთ სახლში დაიდვით საქსოვი მანქანა და სხვა ხელსაქმესთან ერთათ აბრეშუმით ქსოვით. ამასთან ისიც ჩანდა, რომ ბ. ა.—ს არავითარი ცერძო ხასიათის ინტერესები არ ამოქმედებდა. საქმის გასაძლიერებლათ პატარა იყო დახმარება. მართლაც ბ. ა.—მ წარუდგინა თავისი მომავალი მოქმედების გეგმა ადგილობრივ კავშირის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას. ის დიდი სიხარულით მიეგება მის განზრახვას და თავის მხრით თხოვა კავშირის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ეშუამდგომლა მას სამეურნეო მინისტრის წინაშე ბ. —ს დახმარებისთვის. მოულოდნელათ, სამეურნეო საზოგადოებამ უარყო შუამდგომლობა და დაწყებული საქმეცა არა საქმე ღვთის ანაბარათ მიაგდა; ყოველ ცერძო პირს ამ ს შემდეგ იმედიც და ხალისიც დაეკარგება. კიდევ კარგი, რომ ქუთათისის განყოფილებამ იმდენი გულშემმატყვიობა გამოიჩინა, რომ დამოუკიდებლათ გაუგზავნა თხოვნა სამეურნეო მინისტრს. ამისთანა თანაგრძნობა, მიზანს რომ არ მიაღწიოს, კაცს მაინც გააბნევენებს. მეგრეთს უარყო შუამდგომლობა ტუთონისელმა საზოგადოებამ? იმით რომ საქმეს კერძო შიამ თანსახდა. ერობა კი არამც თუ ასე უყურადღებოთ არ ტოვებს ცერძო პირის მოღვაწეობას; პირიქით რე ცდილობს ადგილობრივი მოღვაწენი ამოიყვანოს გვერდში და მათთან ერთათ ქვეყანას სამსახური გაუწიოს.

ცდა რუსეთის ერობისა მეურნეობის, მრეწველობის და ექობის გასავითარებლათ მეტის მეტი რთული და მრავალგვარია. ერობა აფუძნებს სამეურნეო სკოლებს, მანქანების საწყობებს, იძენს საუკეთესო მოდგმ-ს შინაურ საქონელს; მოსაშენებლათ, იბარებს საუკეთესო გვარ-ს თესლეულობას, ზოგიერთ ადგილს ერობის დახმარებით შექმნეს სულ ახალი კულტურა, როგორც, მავლა, საქონლის საკვები ბალახის თესვა. ერობა ცდილობს

წერილმან მწარმოებელთ ხელი შეუწყვა: არსებს მათთვის საქონლის საწყობს, შველის ყიდვა-ვაყიდვაში. გარდა ამისა, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ერობამ გამართა მრავალი წარსილმანი სესხის გამკცე-მი ბანკები. ამ ბანკებმა, რასაკერძოვლია, ყველაზე უფრო შეუწყვეს ხელი ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ჩვენში კი რით შევლიან მეურნეობას? თბილისის გუბერნია საერობო შემოსავლიდან მეურნეობის დასახარებლათ ხარჯავს 1500 მანეთს. ისიც იკით რისთვის? დიდებულნი რომ მარულას მართავენ, იმის მოსაწყობათ. გამოდის, რომ კარგი ჯიშის ცხენები ყველაფერზე უფრო ძვირფასია ჩვენთვის; მაგრამ ისიც კიდევ საკითხებია, ამ მარულას შემწეობით უფრო გაუმჯობესდება ცხენის ჯიში, თუ სხვა უფრო მოხერხებული ღონისძიებით.

ერობის ხელშია აგრეთვე ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. რამდენი ადამიანი იხრება ჩვენში, რომ დროზე შევლას ვერ პოულობს. კიდევ უფრო მეტი უბედურობა მოგვეყვას, რომ რაიმე გადაშვებები სენი განხდეს. არაერთი რწინაწინევი დაარსებული ორგანიზაცია არ მოიპოვება. ერობის გუბერნიებში კი მზრები დაყოფილია ნაწილ-ნაწილათ და თვითვე ულ ნაწილში გამართულია საავთმყოფო ან საქამოსასხი. ამ ადგილებში განწესებული არიან ექიმები, რომელნიც უსასყიდლოთ შევლიან ხალხს და წამალსაც ზნირათ უსასყიდლოთ აძლევენ. სისულთავეზე მზრუნვენი პირნი ხომ ყოველ სოფელს ცალკე ყავთ მიწინაღნი. გარდა ამისა ერობას აქვს მოწყობილი შემოღობების და მოზუტებულების თავშესაფარი. ჩვენში კი ორი-სამი არ მოიპოვება ამ გვარი დაწესებულებანი. საზოგადოთ ამ საქმეზე მეტის-მეტათ ცოტა ყურადღება არის მიძეული და არც შესაფერო ღონისძიება არის მიღებული.

არც განათლების საქმეა უკეთესათ მოწყობილი. მას აქვთ, რაც გლეხობა ვათავისუფლდა, შიდა - რუსეთში განათლება სწრაუთ იზრდება, რასაკერძოვლია, ერობის მეოხებით. დღეს საქმე იქამდის მივიდა, რომ ბევრმა ერობამ გადაწყვიტა ისე მოაწყო საქმე, რომ ყველას შეეძლოს პირველადწყობითი სწავლის მიღება. ამისათვის გამოიანგარიშეს, თუ რა მანძალზე შეიძლება ერთი სკოლა იყოს მეორეზე დამრბებული და ამის მიხედვით გაიგეს, თუ რამდენი სკოლა არის საჭირო მთელ მხარაში. ერობა შევლის გლეხებს სკოლს შერობის აკებაში, მასწავლებლის შენაებაში, მასწავლო ნივთების შეძენაში და სხვა. ჩვენში კი, მეტადრე თბილისის გუბერნიაში, სკოლები სად არის? განათლებას საერობო გადასახადადან თბილისის გუბერნია მხოლოთ 2000 მანეთს ახმარს, ისიც სამრე-

ლო სკოლებს. სამინისტრო სკოლა, რასაკერძოვლია, მეტი ღვაწლი მიუძღვის, განზათ-ლებელი ძალაც მეტი სხვა, სულ უყურადღებოთ არის დატოვებული. აქვს განზათლებელ დაწესებულებათა ხსენებაც არ არის: არც სამკითხველოები, არც წიგნის საწყობები, არც მასწავლებლების კრება, კურსები...

დღეს ამირ კავკასიაში გუბერნიის საერობო შემოსავალი მისივე საქმეებზე პირდაპირ კი არ იხარჯება. იგი ამირ-კავკასიის საზოგადოთანხაში შედის და მეტი დანაწილდება გუბერნიებზე. ასე რომ შესაძლებელია ვთქვათ, რომ რომელიმე გუბერნიამ თავის შემოსავლის შესაფერო ხარჯი დაფარას და კიდევ გადაანარჩუნოს. მაშინ ეს ფულები ამავე გუბერნიის მკვიდრთა საკეთილდღეოთ კი არ იხარჯება, სხვა უფრო ღარიბ გუბერნიას მოხმარდება, ვთქვათ, ქუთაისის გუბერნიის შემოსავალი - ყარსის ოლქს. მართლაც ასე მიდის ქუთაისის გუბერნიას. 700,000 მანეთიდან, რომელიც აქ იკრება, ამ გუბერნიაზე იხარჯება მხოლოთ ნახევარი, დანარჩენი კი სხვა გუბერნიებს ხმარდება, ერობა რომ გვეყოლოდა, ეს აღარ მოხდებოდა: მაშინ თვითოეული გუბერნია თავის შემოსავლით იცხოვრებდა.

ჩვენი რასაკერძოვლია, ერობის ყველა ღირსებათა ჩამოთვლას ვერ შევძლებთ. ერთი დაღუფსებელი თვისება საქმარისია აღენიშნოთ. დღეს ჩვენ ძნელათ თუ გავიგებთ, სად რაში იხარჯება ჩვენი გადასახადი. როდესაც ერობა იქნება, მაშინ შეგვეძლება ყოველი დახარჯული გროშის ანგარიში მოეთხოვოთ ჩვენ მიერ ამორჩეულ პირთ. რა თქმა უნდა, რომ აწინა-რი საქმის წყაყა წახალისებს ყოველ ადამიანს საზოგადო მოქმედებისათვის და განამტკიცებს ჩვენში მოქალაქეობრივ გრძობას.

დასასრულ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. როგორც ვხედავთ, ჩვენი მხარე ვერ შეეღრება ერობის მქონე გუბერნიებს. არაიენ იფიქროს, რომ ამისთანა ჩამორჩენა, ბატონ-ყმურ წეს-რიგზე ვაშეშვება ჩვენი ადმინისტრაციის ბრალი იქოს. სრულიად არა. საზოგადოთ ადმინისტრაციას იმდენი საქმეები აქვს, გარდა ამისა სხვა პირობებიც ხელს უშლიან, რომ მას არას დროს არ შეუძლია ხალხს ერობის მაგიერობა გაუწიოს. ეს დღეს ერთხმათ აღიარებული ქეშმარტებია. არ გვექნება ერობა - არ გვეყოლება ჩვენ ინტერესებზე მზრუნვენი, არ გვექნება როგორც ნიადაგზე დაყენებული სწავლა-განათლება, სკოლები, არ გვეყოლება ექიმები, არ გვექნება საავთმყოფოები, ბანკები, გზები...

სსცა-და-სსცა ამბავი.



მ აბათს, 29 აპრილს, თბილისის „კრუცკოში“ ბ. შ. ო. გრუზინებერგი წაიკითხავს საჯარო ლექციას—„თავის კლა რუსეთში“. ლექციის პროგრამმა აზრიანი, შინაარსიანია. ავტორი შეეხება თავის კვლის მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი გავრცელების მიზეზებს, იმას, თუ როგორ სჯის ამ მოვლენის შესახებ ფილოსოფია, ლეთის-მეტყველება, მედიცინა და იურისპრუდენცია, თავის კვლის ისტორიასა და სტატისტიკას.

ღლე არ გაიგლის ისე, რომ გახეთქება წერილათ აღწუსხული, შეჩვეული ამბავი, არ მოგვიტანან: ამა და ამ ქალაქის ნაწილში, ეს და ეს პირი თავისი ნებით გამოესალმა ამ წუთისაფელსაო. ჩვენ ისე შევჩვიეთ ამ „წერილს“ ამბავს, რომ არც კი დაუფიქრდებოთ ხოლმე. ხშირათ კი ამისთანა პაწია ამბავი სულის დიდი ტრავგიდის შემცველია. ამ საზარელ მოვლენას ჩვენ გარშემო ცხოვრებაში ღრმათ უღვია ფესვები და მხოლოთ წრფელ დაკვირებას, განათლებულ კაცთ მოყვარებასს შეუძლია მიაგნოს მათ და ამ მოვლენის რღუმალი ვითარება გაგვიზილოს. ამ მხრივ ძლიერ საინტერესოა, რას ვეუყვის ბ. გრუზინებერგი თავის მომავალი ლექციაში.



თუთუნის მოყვანას ქუთაისის გუბერნიაში ამ ბოლო დროს წარმატება დაეტყო. ვაზ. „Кавк. Сел. Хоз.“ სიტყვით 1897 წ. იქ 126,921 ფუთი თუთუნის ფურცელი შეუკრებათ, 1892 წელს კი 81,590 ფუთის მეტი არ მოსულა.



იმავე გაზეთს ატყობინებენ ჩაქვიდან, რომ იქ პოპოვისა და საუფლისწულო მამულეებში უკვე ბლომთ დაურავთ ჩანს მცენარეები.



ქ. ბათუმში ახალ საავთმყოფას გამართვაზე მთავრობისაგან უკვე დართულია ნება. გარდა ამისა ამ ქალაქს ნება მიეცა ოცი ათასი მანეთი დახარჯოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ეს ფული შავი ჭირის საწინააღმდეგო საშუალებათ უნდა მოხმარდეს, წელს, 1 ივლისს, ბათუმში გაიხსნება გიმნაზია. ჯერ ჯერობით მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები იქნება. 1897—98 წელს ქალაქმა

თავის ხარჯით უნდა შეინახოს გიმნაზია, 1898—99 წელს კი ყოველ წლიე—15,000 მან. უნდა აძლიოს, ხმა დაღის აქრომ ახალი გიმნაზიის დირექტორათ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი, ბ. სტოიანოვი, იქნება ვალმოყვანილიო. („Чер. Бѣт.“)



ვაზ. „ივერიას“ სწერენ: ყაზბეგის წილისა შინათე-შეფარებულ ჩვენ ძველ წმიდა სამების ტაძარს მწარე დღე დადგომია. ისეთ მღვამარეობაშია, რომ ლამის ჩამოინგრეს, თუ არსათა არაფერი ეშველა-რაო.



ამ ზაფხულს, ვაზ. „Нов. Общ.“-ის სტყვით, კავკასიას ესტუმრებიან მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, ა. ს. ერმალოვი, და სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, ბ. ხომიაკოვი.



თბილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა შესახებ საბჭომ ქ. თბილისის ამომრჩეველთა სიები დაამტკიცა. დამტკიცდა არჩევნების წეს-რიგი, ამომრჩეველთა კრება საერთო იქნება.



შინაგან საქმეთა მინისტრმა მიმართა გუბერნატორებს შემდეგი ცირკულიარით: განსაჯით, საქროათ თუ არა, იმ დიდ სოფლებში, სადაც მცხოვრებელთა რიცხვი 7 ათასს აღემატება, საქალაქო მართველობა შემოღებულ იქნასო.



ქ. ბაქოში გამართულ ქართულ საღამოსაგან 2,264 მან. შემოვიდა. ეს ფული უკვე მიიღო „წერა-კითხვის“ საზოგადოებამ. იგი უნდა მოხმარდეს: თვით ამ საზოგადოების მოთხოვნილებათ, მომავალ საქალეობა სასწავლებელს და სსცა-და-სსცა საქიელო-მოქმედო საქმეებს.




„Нов. Общ.“-ს ქუთათურ კორესპონდენტს საინტერესოა სტატისტიკური ცნობები შეუკრებია ქუთ. გუბერნიაში ხალხის ზნეობის შესახებ. 1895 წ. ქუთაისის ოლქის სახამართლოს 1513



პირი უცენია დამნაშავეთ: 525 კაცი და 6 ქალი. იმ წელს გარჩეულ დანაშაულობათა რიცხვი 440 ყოფილა, ამათში სხვისი საკუთრების წინააღმდეგ მამართული — 221, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პატიოსნების წინააღმდეგ — 28; მთავრობის მოხელეთა დანაშაული — 5; ხაზინის მამულისა და შემოსავლის შესახებ — 12; ცრუ ფიცი — 15 და სხვა.

აწვე წელს ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელ სასამართლოებში 7,593 კაცი და 116 ქალი უცენია დამნაშავეთ. 1895 წ. ამ გუბერნიაში ცეცხლს 223,643 მან. ზარალი მოუტანია. ქუთაისს, ბათუმს, ფოთსა და სოხუმს არა აქვს რიგიანი ცეცხლის საქრობი მოწყობილობა. წყალ დიდობისა და თოვლ-ზეგებისაგან დაზარალდა: ფოთა — 124,902 მან., ქუთაისი — 23,650 მ., შორაპნის მაზრა — 234,834 მ., სენაკისა — 136,664 მ., რაჭისა — 73,617 მ., ოზურგეთისა — 55,654 მ., ზუგდიდისა — 54,467 მ., ლეჩხუმისა — 15,950 მ., ბათუმის ოლქი — 274,111 მ., და ართვინისა — 59,167 მ. მთელი გუბერნია 1.064,016 მანათით დაზარალებულია. დაღუპულა იმ წელს 141 კაცი ორივე სქესისა.



* *



ა მოხელეა ცრემლები,
რომ ეღვარო ნაკალულათა,
თუ გულსა წყლული, ნაღველი
კელავ რჩება ნაღველ-წყლულათა?
რა მოხელეა წამლები,
ფერებით შეზავებული,
თუ კაცის მკურნალ მასალათ
არ არის შემზადებული!
რა მოხელეა ლამაზი
სიტყვები ცალიერია,
თუ საქმეს ეერსადა ხედეს
მისი მსმენელი ერია?!

დ. თამაშვილი.

იმერეთის მეფის სოლომონ მეორის
რილი თ. ციციანოვთან. *)

მათ ბრწყინვალეებს უფალს ჩემს მოწყალეს კელმწიფეს.




ზრნი კეთლ მზადნელობისა თქვენისანი ჩემ-
და მომართ განძიცხადა რა თვადმან ლიონ-
ნიდემ, და მივიღე რა წერილი თქვენ მიერ-
ნი, ესასოებ რათამცა არა დაეკლდე, არცა სამეფო
ჩემი, ჩეულებასა კეთილ-მოქმედებისა თქვენისასა;
ამისთვის მიხდობილა მამობრივსა კეთილ-მზრუნე-
ლობასა თქვენსა, წარმოგზავნი დეპუტატთა ჩემთა
ათ-ხუთმეტსა ამას დღესა შინა, და ვინათვან ჩვენ
მიერ წარმოგზავნილსა კაცსა არ აქვს ფორტა გამო-
ცელისათვის ცხენისა, ამისთვის მსურაულათ მოწვე-
ნისათვის წერილისა ამის თქვენ და მომართ წარმო-
უგზავნეთ წიგნი ესე კამენდატსა სურამისასა ფორტით
წარმოგზავნად თქვენდამი; ხოლო ცხისათვის დებ-
ვირისა პირველს მოხსენებმა და კიდევ გამოთხოვ-
ბის ჟამს, რომ გებრძანათ თვადის ლიონიძისათვის,
მოწერა უფლის ღვთაის ლიტენიოვისადნი, მისის
მალაღმსწელოლობისაგან არაფერი არ გამოგვეცხადა-
რა, რომელსაც ვსასოებთ, რომ პირველის წერილისა-
ებრ თქვენისა, ჩვენგან მიბარებული ციხე დეზვირი
დაგვიანბოს, სხვებრ ევიგებთ ნიდავ

ბრწყინვალეებსა თქვენისა
მოწყალის სულმწიფისა ჩემისა

სამსახურის მოწადე

აქ ბეჭედი დასმული რომელზედაც აწერია:
„მეფე იმერთა სოლომონ“.

ამბილის აბ
წელთა ჩუე



*) ეს წერილი ვიპოვე თბილისის 10-ს, 1897
წელს. პულის დუქნიდან რადაც ვამოკატანებინათ, შიგ კა-
სკუული. ქადაგი თუდავი.

გასილ ზ. პარხიკი.






გ ა ზ ა ფ ნ უ ლ ი .

იესო ყრმის ყოფა იერუსალიმის ტაძარში.

მოკლ მსაქმის დღესასწაულზე იოსებ და მარია წამოვიდნენ ხოლმე იესოს იერუსალიმს. როდესაც იესო თორმეტი წლის შვილია, ის და მისი დედა მამა ჩვეულებრივად მივიდნენ იერუსალიმს სადღესასწაულოთ. აქ იყო დიდი თემობა. მოსიყვარულნი და მარიათა შვილი გადამხდით და ვიღაც ნასეს საღესთი, იმით დაუწყეს სენა და ეუკენ მწესაჭეთ. სამ დღეს შემდეგ ისინი შემთხვევით შევიდნენ იერუსალიმის ტაძარში და გაუგებრდნენ, რომ იმათი ძე, იესო, წამდგარყო მცნებერ

მოდგარათ შორის და გამოიპოდა მათთან ერთად სადგომო რეუფსა. მცნებერნი მომდგარნი გაგვირბულნი იუკენ, რომ ასეთმა მცნებრე წლოვანმა ურამმა გამოიჩინა ასეთი დიდი ნიჭი და ცოდნა. მარიათს გაესარდა შვილის პოვნა და უსაყვარდურა: „შვილო, ასე რათ შეგეწაუტე შენი ბუნით. ეს მესამე დღეა მწესარებაში კართ, რომ გერ მოგნასეთო. ჩვენ დარგულნი გვეგონეო“. იესო ურამმა უმასუსა თვის დედას: „და რასა შემოებდით, განა არ იცოდით, რომ მე მამა ჩემთან უნდა გყოფილვიკეთო“. ასეთი მსახური შვილისა დიდად გაუგებრდა მის დედა-მამას. მარიათს ენიშნა ეს და გულში დაიხსომა უოკელი მისი ნათქვამი.



ესა ყრმის ყოფა იერუსალიმის ტაძარში.

მაკიაველიზმი.

Timeo danaos et dona ferentes.

მეშინა ანამდ თუ დანაქლთა, მათ მიერ მომდენილი საჩუქრებისაგ.



მაკიაველიზმი დიდი ხანია ევროპის პოლიტიკაში ტერმინით არის მიღებული სასახელოდ შესანიშნავი იტალიელი პოლიტიკოსის ნიკოლო მაკიაველისა, რომელიც მოქმედებდა მეთექვსმეტე საუკუნეში. როგორც დიპლომატს და სახელმწიფო მოხელეს, მაკიაველს მთელ მაშინდელ განათლებულ ევროპის სახელმწიფოებში ჰქონდა მიწერ-მოწერა და მიმოსვლა გამართული. მის დროს იტალია მეტათ დანაწილებული და დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა სამთავროებს შორის. ამათ ჰქონდათ მუდამი ბრძოლა და უთანხმოება ერთმანეთში, რომლის გამოც მთელი იტალიის ერთი საშინლათ დამკირებული და აზხრებული იყო უცხო ქვეყნების შემოსევით. რადგან იტალიაში ერთობა აღარ ხერხდებოდა, თითოეული პაწია სამთავრო მეზობლის დასამკირებლათ ყოველ წამს მზათ იყო, რომელსამე მასშაბლო ქვეყნის მტერს მიმხრობდა და მტერ-მეზობელზე გულის ჯავრი ამოცქავა. ამის გამო მთელი იტალია იმ საუკუნეში უცხო ქვეყნებესგან — საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფოებისგან — გაქედილა და გაოხრებული იყო, აი, ამ დროს ცხოვრებდა იტალიის ერთათერთი დიდი პატრიოტი მაკიაველი, რომელსაც ნაღველი ჰქონდა ვახეთქილი მწუხარებთ, რომ იტალიის ანგარების მოყვარე მთავრებს, გარდა საკუთარი პირადი ინტერესებისა, სხვა არა რწამდათ-რა და ერთმანეთის ბეზობისა და აკლების მეტს არას აკეთებდენ, მაშინ როდესაც იმათი ქაშაობით და ერთმანეთის გულ დაუნდობლობით საწყალი იტალიის ხალხს გარეშე მტრების კლანკებში იყო გამაკლული, ხოლო მთელი იტალია დამკირებული, ნიკოლო მაკიაველი ძალიან კარვათ იცნობდა თავის დროს და ღრმით შეგნებული ჰქონდა, რომ იტალიის უბედურება სულ მისი ვარყენილი, მეძავი მთავრობისა და მეთაური კაცების ბრალი იყო. ასეთ დროში ზნეობრივი მოქმედება არც პოლიტიკაში და არც ცხოვრების ვითარებაში არაფერი გამოსადეგი იყო. ნიკოლო მაკიაველი ღრმით დარწმუნდა, რომ იტალიის ვარყენილი მეთაურების ასალავმავათ იმა-


თივე უზნეობის შესაფერი ხერხი იყო საკირო: მეგლს — თოფა, ქურდს — ბოჩიკლი, მცარცეკლს — ხანჯალი ზე ძალ-მომარეკს საწამლოთა — წარმოთქვა მან და მთელი თავისი პოლიტიკური მცნება ასეთ სასტყ იარაღებზე დაწყარა იმ განზრახვით, რომ იტალიის ვარყენილი მეთაური ერთის საშოდან ამოვეგლოჯა და დანაწილებული ხალხი უცხო ქვეყნის მტრეალებეს გასადენათ შეერთებინა. ამ განზრახვით იმან ამოიჩინა ერთი უფრო განათლებული და ნიჭიერი მთავრის სახლობა, რომლისთვისაც სახელდობ მან დაწერა თავისი პოლიტიკური აღსარება — „Il Principe“ (აი, როგორ უნდა ქვეყნის მართვა). ამ თხულებში ნიკოლო მაკიაველს მოჰყავს მრავალნაირი საისტორიო მასალა, თუ როგორი საშუალებით გაძლიერებულა რომელიმე სახელმწიფო. ის ამბობს, რომ ევროპისა და განსაკუთრებით იტალიის სახელმწიფოები მეტათ დაცემულნი არიან ზნეობრივითა. საკიროა მხოლოთ, რომ ერთმა რომელიმე მთავარმა განუსაზღვრელი თვით მპყრობელობის ძალა გამოიჩინოს ქვეყნის საშველათო. მან თხულებში „Il Principe“ საკუთრათ ფლორენციის მთავრის ლორენცო მედიჩისთვის დაწერა. ის ასწავლის თავის საყვარელ მთავარს ისეთს ღონისძიების ხმარებას, რომ მითი უსაკილოთ უნდა გაეძლიერებინა თავისი სამთავრო. ამ თხულებების დამწერს ზნეობრივი საშუალება სრულებით არა აქვს მხედველობაში. ის ურჩევს ლორენცო მედიჩს, მხოლოთ პოლიტიკური ანგარიშებით იხელაძლენაელო, ზნეობრივი მოქმედება სვეს ვერ გავატანიებსო.

მაკიაველი გულ-ახლილთ ურჩევს მას ერთნაირ მოქმედებას მიზნამდი მისაუწევათ: „ყოვე გულჩახვეული, მანიკერი, უნდა, ფიცბი და შედეგი ასეთი მოქმედებისა ნუ შეგამინებსო“. მაკიაველი ასწავლის, რომ მხედველობაში უნდა გკონდესო მხოლოთ საერთო ქვეყნის სიკეთე და ამისგულისთვის ნუ რა საშუალებას ნუ დატრიდებო, თუნდ რომ ძალიან უზნეოც იყოსო, ოლონდ კი შენი განზრახვა ასრულეო. ასე მოქმედებენ ძლიერნი ამა სოფლისანი და შენც იმათ კვალს უნდა მიჰყვეო.

სამწუხაროთ, ეს მცნება ლორენცო მედიჩიმ კი ვერ გამოიყენა იტალიის გასათავისუფლებლათ და იტალიის ვარეშე მტრმა, აესტრიის იმპერატორმა, კარლოს მეხუთემ, კი ხელზე დაიხვია ეს მცნება. მთე-

ლი იტალიის ხალხი. მან განხეთქა ორ ერთმანეთის სისხლის მსგეოლ პარტიის ბანაკთ. ავსტრიის იმპერატორი, კარლის მიხედვით, ძალიან კარვით სარგებლობდა ძველი გიბელინიზმისა და გველეზების უთანხმოებით. ის თავის აგენტების მეოხებით ნიადგ თესდა შურს, მტარობას ამ ორ იტალიის ძველებულ პარტიათა შორის. მათ ერთმანეთ შორის სისხლს აღერეინებდა, ერთმანეთის ზრძოლით ასუსტებდა და თვითონ კი მთელ იტალიის ხალხს არწივით დაღკომოდა ზვიდან, რომ შინაური განხეთქილებით დასუსტებული იტალია კლანჭებში გამოეკლა.

ბ. წერეთელი.



მცირე შენიშვნა.



აზთ უკვალის“ საშუალებით მე მსურს შეგვბო ერთ ჩვეულებას, რომელსაც, სამწუხაროთ, ვერ აცდენ ჩვენი მოწინავე მოღვაწენი.

ჩვენში საზოგადო საქმე ისე ვერ აღდგამს ფეხს, რომ „შეგინდან ციხე არ გატყდეს“, პირადმა ღვარძლმა, პირადმა ინტერესებმა არ იჩინოს თავი. მწერლობაშიაც აქ ხდება: არც ერთი მსჯელობა, თითქმის არც ერთი საჯანი ისე არ განიხილება ჩვენ ზოგიერთ გამოცემაში, რომ პიროვნებას ჩირქი არ მოეცხოს, მიწასთან არ იქნეს გასწორებული. აზრის პატივისცემა, მოქმედების ზრდალობიანათ დაფასება და აწონ-დაწონვა დაკული არ არის სრულებით. შეძლება, ეს იყოს ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს მწერლობაში ჯერახნობით ვერ აღორძინდა წრფელი მიუფარველი კრიტიკა.

წაიკითხეთ პატივცემულ იაკობ გოგებაშვილის უკანასკნელი წერილები, რომლებიც ამ წლის „ივერიაში“ იყვენ მოთაესებულნი. გაუშინჯეთ კბილი ამ წერილებს და დარწმუნდებით, რომ ისინი პირად უკმაყოფილობაზე არიან აგებულინი. ბატონს იაკობს ისე არასოდეს არ უხსენებია ბ-ნი გიორგი წერეთელი, რომ მთელი კონა გასალანძღავი ეპიტეტებისა თან არ გაეყოლებინოს, რაც სრულებით არ შეფერხს ავტორის საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის ავტორიტეტს... რა გასაკიცხავია გიორგი წერეთელი, თუნდ რომ რა-მე სამრწევლო საქმე ეთავებიოს სხვათა შორის; განა სასჯაღულო ნ. ნიკოლაძეს დანაშაულობათ ჩამოერთმევა, რომ ის არ დაკმაყოფილდა პუბლიცისტობით; და სამოქალაქო მოღვაწეობით, დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა კომერციაში, არხებისა და გზების გაყენებაში, ნავთ-სადგურების გაუმჯობესობაში? მტესაც ვიტყვი: განა ბ-ნს იაკობს

მეტჩიარობით მოუვიდოდა, როგორც თვითონ ვუთხარი, ართმეტყვის, ქართულ-გარმატიკის და საღმრთო რჯულის სახელმძღვანელო რომ გამოეცა?

მე დარწმუნებული ვარ. როცა „კვალის“ რედაქციამ მოიწონა სახელმძღვანელო „პეგების მოკეთე“, ახრათ არ ჰქონია სკოლებიდან „დედა-ენის“ გამოძვეებაში ინიციატორობა ეცხრნა. მას სრული უფლება ჰქონდა სახელმძღვანელოს აეკარგინაობაზე თვე-სი აზრი გამოეთქვა და მთ სრულებით არ დაიჩრდილებოდა „დედა-ენის“ ღირსება.

მე არა მწადს, გავსამართლო ბ-ნი ი. გოგებაშვილი და ბ-ნი გ. წერეთელი. ისინი ერთმანეთს გაუსწორდებიან. სასურველია ჩემთვის და ჩემთან ერთათ, შეიძლება, სხვებისთვისაც, რომ ლიტერატურული ზრდილობა, წეს-რიგი წერის ჩვენს მწერლობაშიაც იყოს შეწყნარებული, ქებასა და ღანძღვას მტკიცე საზღვარი დედვას.

მე არაგითარი დამოკიდებულება არა მაქვს პატივცემულ უკვალის რედაქციასთან“ და პირადათ დიდ პატივს ვცემ ბ-ნი იაკობ გოგებაშვილს.

დ—ბი.



(ქიქისი.)

ეთეგზე-გოგო ლამაზო ნაპირს მოაგდ ნავი, ხელი ხელთ მომეც, ჩამოესხდეთ გავმართო საუბარია.

თავი მომაყრდნე გულზედა, ნუ მიფრთხი, არ ვარ, აგია! გუ ზღვას ხომ მუდამ ენლობი უშიზარ-უზრუნავია!

ჩემი გულიცა ზღვასა ჰვავს— ხან მშვიდი, ხანაც მწყროლია და მის სიღრმეშიც ამარხის ზოგ ზოგი ტურფა თვალა!..

ია—ნ დათფშვილი.

„კვალის“ კორესპონდენციები.



შუასის. ე' ერთი ხანია, რაც ფერმა, სადაც სამეურნეო სკოლა იმყოფება, გარეგნობით უმჯობესდება: კეთდება საყავილეები, ბოსტანები, ირგვება ხეხილები, ამერიკული და ევროპული ვაზები და სხ. ერთი სიტყვით მზრუნველნი ცდილობენ, რაც შეიძლება, შეერმა თვალის გასართობათ გადაქციონ, გარეშე მაყურებლების ყურადღება დაკმაყოფილონ გარეგნობით მაინც. მიკრამ, საუბედურაოთ, ასეთსავე ყურადღებას უკრძალდება დაკმაყოფილონ გარეგნობით მაინც. მიკრამ, საუბედურაოთ, ასეთსავე ყურადღებას უკრძალდება დაკმაყოფილონ გარეგნობით მაინც. მიკრამ, საუბედურაოთ, ასეთსავე ყურადღებას უკრძალდება დაკმაყოფილონ გარეგნობით მაინც. მიკრამ, საუბედურაოთ, ასეთსავე ყურადღებას უკრძალდება დაკმაყოფილონ გარეგნობით მაინც.

იმედია, სარევიზოა კომისია, რომელიც ამ თვე-ნახევრის წინეთ ქუთაისის სამეურნეო განყოფილებამ აირჩია სკოლის წასული საქმეების განსახილველათ, ახლანდელ მის მდგომარეობასაც ჯეროვან ყურადღებას მიაპყრობს და საზოგადოებას წარუდგენს დაწერილობით ანგარიშს სკოლისას და მასთან იზრუნებს მის სამეურნეო ბედობაზე. კუთისასწავლებელათ ესეც გვეყოფა, ახლა კი საქარა

ამ გვა' მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ღონევილონოთ, რამდენათაც ეს ჩვენს უფლებათაა...

* *

ს. ბარალეთი. (ახალქალაქის მახრა). ს. ბარალეთში ითვლება 120-მდის მკვიდრი მცხოვრებნი, რომელთა შორის ნახევარი ქართველობაა და ნახევარი სომხობა როგორც მოგხსენებთ მკითხველებს, ეს ადგილები (საზოგადოათ ახალქალაქის მახრა) წინეთ ძველ საქართველოს შეადგენდნ და სახელათ ჯავახეთი ერქვათ. ბარალეთში მცხოვრები ქართველებიც ეკუთვნიან ჯავახეთის ქართველობის ჩამომავლობას. უმეტეს ნაწილს ჯავახეთის ქართველობისადეიწყება ქართული ენა, მამა-პაპური წესები და ჩვეულებანი. მახრაში იმისთანა სოფლებიც მოიპოვებინ, რომლებშიც ქართველებს არამც თუ ენა-ჩვეულებანი გადაუგარებიათ, უარ უყვიათ ქრისტეს რჯულიც, რომელიც საქართველოს უპირველეს არსებითს ბურჯს შეადგენდა.

აქაური შესწინილი ყოველ ღონისძიებას ხმა-რობს, რომ როგორცე დაიბრუნოს ეს მოძმენი, ჩააგროს აეინ იყვენ იგინი და რა იყვენ. ამისთანა პირთ მკუთვნიან ახალქალაქის მახრის უფროსი თავად გრ. თარხან-მოურავი, ი. ალხაზიშვილი და სხენი. ამათ მეოხებით 29 თებერელიდან 1895 წელს ს. ბარალეთში დაარსდა უფასო სახალხო წინთ-საცავი. წინთ-საცავის შენაბის უქონლობის გამო წინენები და ქურნალება ჩაბარეს ადგილობრივ სკოლის მასწავლებელს ს. გურგენოვს, რომელიც წერილ-წერილათ ურიგებდა წიგნებს წასაკითხათ ბარალეთის გლეხობას. რასაკირველია, ხალხს ეძნელებოდა წიგნებისათვის მუდამ მასწავლებელთან სახლში სარუელი და შეწუხება, ამიტომ საქმეც ეერ მიდიოდა კარგათ. პატრეცემულმა შემოახსენებულმა პირებმა ამ გარემოებასაც უბოვეს წამალი, ამათ გამართეს ხელის მოწერა ახალქალაქის მახრის შევწებულ პირათ და აგრეთვე გლეხთა შორის სამკითხველათვის საკუთარი შენობის ასაგებათ და შეკრიბეს საკირთა თანხა. ამ შეკრიბილი თანით აღუშენეს ბარალეთის წიგნთ-საცავს საკუთარი ორ ოთახიანი შენობა. ამ შენობის აგებას ხელი შეუწყვეს აგრეთვე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა: ზოგმა ქვა მოუტანა, ზოგმა მუშა შეაწია და სხვა. დიდი მადლობის ღირსია ბარალე-



თ-ს მცირეობი, სოფლის მწერალი, გ. მურჯაგენ-ლი, რომელმაც იკისრა ზედამხედველობა შენობის აშენებისა, დიდი შრომა გასწია და შეეწია აგრეთვე საქმეს ფულითაც. შემოწირულობა შედგა სულ 420 მან. 46 კაპ. შენობისა და წინთ-საცაის მოწყობაზე დახარჯულა 993 მან. 46 კაპ. სამკითხველ-ლოს ჰყავს 57 წევრი წინთ-საცაის გამგეთ ისევე აღკლობრივი სკოლის მასწავლებელი ს. გურგენო-ვი დატოვეს. ახლა სამკითხველს კეთილ-დღეობა დამოკიდებულია ბ. ს. გურგენოვზე. მან იცის, რო-გორ წაიყვანს საქმეს. მარტო ის არა ცნობა, რომ სამკითხველო არსებობს და უფასოთ ყველას შეუძ-ლიათ წიგნების აღება და წაკითხვა. გურგენოვს ეა-ლიათ აძევს, რომ თითონაც განუმარტოს და ჩა-აგონოს ხოლმე ბნელ ხალხს წიგნების კითხვის საჩ-გებლობა.

ს. ბარალეთში არსებობს ორ-კლასიანი ნორმა-ლური სკოლა, აქვე ცნობრებს მასწავლის ბოქაული. ბარალეთის საბოქაულოს ჰყავს თავისი საკუთარი ექი-მი, ორი ფელდშერი. არის გამართული მისაღები საავითმყოფო, საავითმყოფოსთან არის დაარსებული აფთაქის საწყობი, ასე რომ ახალქალაქში აღარ გარბიან ექიმისა და წამლებისათვის.

ს. თელავშიაღი.




ს. ევლა (ოზურგეთის მხრა). ზამთარმა თუმცა-ლა სასიამოვნო ამინდებით გადაგებარა გაზაფხულს, მაგრამ დაღვა თუ არა მარტის თვე, გამოუშვა თაველ-ქუაი და ერთხელაც მოწმენდილ ცას ვერ ეცილისეთ. ყოველ დღე ავდარი ავდარს ემატება და ისეც უფარ-გისო ჩენნი გზები სულ გაფუტდა. თუ ისურვებთ ჩე-ვნი სოფლიდან ფოთში, ძიძითში და სადგურ ჯუმათს გაემგზავროთ, უტკველათ ჯერ მღვდელი უნდა ინა-ხულოთ, საიდუმლო უნდა მიიღოთ და შემდეგ გა-ემგზავროთ, რადგან სახლში დაბრუნების იმედი და-კარგულია; რომელ საულობში ცხენი ქვეშ მოგიტანს და ჩაგანჩობს, ვინ იცის... თვით გზის ზედამხედ-ველს, ბ. ანტონ შაიშვილს, როდესაც სოფელ ძი-მითში მიემგზავრებოდა, ჯორი საულობში ჩაუყარ-და, თვითონ შაიშვილი ტალახში მოისვარა, მორ-თო ყერილი საწყალმა „მიშველითო!“ და რომ არ მიშველებოდა, ვინ იცის, ეგებ ჯორს კდევეც მო-

ვკლა, რადგანაც ტალახში დაფლული თვის ვერ და-ახვედა. ბ. მასწავლის უფროსი აღზიზიავა რომ მობრძან-და ამ მხარაში, უწინარეს ყოვლისა მოჰკიდა ხელი გზების გაუმჯობესებას, ვამოსცა სოფლის მამასახ-ლისებზე ბრძანება, რომ გზები ყველა სოფელში უტკველათ გაეკეთებიათ და რამდენჯერ მე დაარია სოფლის მამასახლისები სიტყვიერათ: „თუ არ გააკე-თებთ, ჩემი თვალი ვერ გინიღათ, და არ დაგაჯილ-დობთო!“ პირველათ მამასახლისები ფაცა ფუციტ შეუდგენ ამ საქმეს და ბევრან გზებაც გაკეთდა, მა-გრამ ბევრი სოფელი დარჩა მოკლებული ამ ბედნი-ერებას. ერთ წელს შემდეგ მოჰქრა და მიყურდა საქ-მე. აქა-ქა აჩიქნილი გზები ჭაობებთ გადაკეთდა. მუშა ხალხი გაიძხვდა: „ღმერთმა გეცოცხლოს ჩე-ვნი მამასახლისი, გზის მუშაობისაგან გაეთავისუფლ-დითო!“... ეისაც კი გული შეტკივა, მუდამ ჩივიან: „გეშველეთ და ტალახში ნუ ჩაგებანჩობთო?“ რაი-სათვის მიყურდა გზების მუშაობა ამ უკანასკნელ წლებ-შიო? იკითხავს ბ-ნი მკითხველი. აი, ბატონებო, ამის მიზეზი: ამ ხანებში სოფლის მამასახლისები მოელო-დენ ახალ არჩევანს, ვითომც და ამით დამსახურეს საზოგადოებისაგან სიყვარული, რომ უკანასკნელ ხანებში გზის სამუშაოთ არ გამოუყენიათ და ამი-ტომაც გაიძხვოდენ სოფლელები: „ღმერთმა გე-ცოცხლოს ჩევენი მამასახლისიო!...“ სიმინდის მაზან-დამ ხომ თან-და თან დაიწია, ფუთი სიმინდი ერთ აბა-ზათაც არვის არ უნდა. ამიტომაც შარშანდელი ბეგ-რის ფულები სულ „ნედლიმკებათ“ იქცა, კომლ-ზე 15 მანეთამდის; ამას დამატა ამ წლის „ოკლ-დი“, მეორე თუთმეტი მანეთი, სულ ოც-დაათ მა-ნეთს თუ აღმატება წელს კომლური გადასახადი, თორემ ნაკლები იშუაათია. რა ჰქნან ფულების მომ-ბოქულებმა (სბორჩიკებმა), ევრაფერ სახსარს ვერ პოულობენ ფულის ასაღებათ. თუ ვისმეს რამე ება-დათ: შინაური პირუტყვი, სახლის ალაფი, თუ ქვე-შაგებ-დასახურავი, „საწინდრებათ“ წამოდებულია და ამ ბარგი-ბარხანით სოფლის კანცელარიები ამსებუ-ლია. სხვა ღონისძიება რომ ევრა იშოვნეს-რა, მიყ-ვეს ხელი სახლების გაყიდვას, მარა საუბედურათ მყიდველაც არ იშოვენება. სულ დაცემულ-გასაწყვე-ბულია სოფლის ბედ-იღბალი.

კარკს იზამს ბ. მასწავლის უფროსი, ან თვითონ ინებებდეს გზების დათვალიერებას, ან დაეალებდეს

ვისმე საიმედო პირს, რომ ამით გაიკოს გზების მდგო-
მარეობა; თვითონაც დარწმუნდებოდეს სოფლის მა-
მასახლისების ცულულტობაში და ამ ვახაუზულზე,
გზის გაკეთებისათვის მარჯვე დროს, ვაკეთებებ-
დეს სოფლის გაფუჭებულ გზებს.

უიმედო შეთავაზუქი.



გუნია და მისი ბეზღობა.

ვალის“ მე-15 №-ში მე დავწერე სტატია და
დავემე, რომ ჩვენ პატივცემულ მეთაურებს
არ შეგვენის ქართველ-სომეხთა შორის
ეროვნული მტრობის ჩამოკლება, არ შეგვენის მათ
გუნიასა და ხეჩატუროვის აყოლა-მეთქი. ამ სტატია-
ში გუნიასებურ კაცებს „მარგალის სკუები“ ვუ-
წოდებ.


გუნია ძალიან იწყინა ეს სახელი და უმატო-
ბულო ლანძღვა-გინებით მომიხსენა, მაგრამ ეს კი-
დედ რა?—ის მბეზღებს საქართველო-სამეგრელო
ერის წინაშე: მე მარგალისკუა დამიძახა გიორგი წე-
რეთელმა და ასეთს თქვენს გალანძღვას მას ნუ შე-
არჩენთო. როგორ? გუნიას რომ მე „მარგალისკუა“
(მეგრელის შვილი) დავუძახო, განა ჩვენმა ლეიძლმა
ძმებმა—მეგრელებმა, ან ქართველებმა თავის შეუ-
რაცხყოფათ უნდა მიიღონ? როგორ? გუნია და სა-
მეგრელოს ხალხი განა ერთი და იგივეა? განა გუნია
ბედავს თავისი თავი სამეგრელოს მეთაურათ და
მის თვით-მპყრობელ წარმომადგენლათ დასახოს,—
იმ გლახა აქტიორ გუნიას, ლანძღვა-გინებით და ცრუ-
პენტელა ამბებით რომ ავსებს ქართული კალენდრის
ფურცლებს—იმ გუნიას, ამ ბოლოს დროს რომ ქუჩის
ფურცელს სცებს და თავის ლიტბარობას ქვეშ ძველი
„მეზურნეები“ შეუტრბია ყოველი რიგიანი აზრის და
მოღვაწის დამამკირებლათ? ნუ თუ ეს გუნია ბედავს
თავისი თავი მთელ სამეგრელოს ხალხის საშოთ აღი-
აროს?...ჰა, ჰა, ჰა, ჰა!!! სასაცილოა, თქვენმა შხემ,
სატირალი რომ არ იყოს!

დახეთ, გუნია რას ბძანებს: მე გიორგი წერე-
თელმა მეგრელიშვილი დამიძახა და ეს თქვენი, სა-
მეგრელოს ხალხის შეურაცხყოფა არისო, ჰკათ მაგასო!
ის კი ვერ გაუგია გონებით უბადრუტს, რომ ეს ჩე-

მი წოდება საყურათ მას გუნიას ეკუთვნის და
სხვას არავის, რადგან ეს უმგვანი გადმოქართ-
ლელეზული მეგრელი უშგერა ლანძღვა-გინე-
ნით და ბეზღობით რყენის ჩვენი ლიტერატურას. იქ-
ნება გუნიას თავი ექებოდეს იმითი, რომ თავისი გლა-
ხა თამაშობით ქართულ სცენას ქართველების თან-
გრძნობა და პატივი დაუკარგა, ან იქნება ფიქრობდეს,
რომ მის მიერ მოპარული რუსული დრამატული
თხზულებების გადმოქართულებით ჩვენი სცენა გა-
ემდილდებინოს! ნურას უუცარავთ, არც ერთია
და არც მეორე. ხოლო ის რომ „ყნობის ფურცელ-
ში“ უსუფთაო ჰანგებით ჩვენი ლიტერატურას ჩიჩქს
აჯებებს და ყოველი კეთილი მოვლენა უნდა მიწას-
თან გაასწაროს, ეს კი მართალია. წაიკითხეთ „ივე-
რიის“ № 69-ში სტუდენტების ზიზლი, მისდამი მო-
ძღენილი, და მაშინ დავრწმუნდებით ამაზე.

იმას რომ „ანაბანას“ მეტი სწავლა და განვი-
თარება ჰქონდა ამ დროს, როდესაც აღმოსავლეთ-
ში მასმადიანები უწყალოთ ელტენ ქრისტიან-სომ-
ხებს და ბერძნებს, განა ის მოაზნენდა უმგვანო ბრძო-
ლის ატეხას ორ მეზობელთა შორის, როგორც ეს
მან მოიქმედა. მაგრამ ქუჩის ფურცლის რედაქტორს,
მეტი რა მოეთხოვება. სამწუხარო და სავალალო ის
არის, რომ ამ მის ურიგო ქცევის ბანი მისცეს წარ-
ჩინებულმა ჩვენმა მეთაურებმა და მამლებსავეთ და-
ქორჩეს ერთმანეთი.

გ. წერეთელი.



წერილი რედაქციის მიმართ.



...ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ ვა-
ხეთ „კვალის“ № 13-ში წაიკითხეთ „წე-
რალი რედაქციის მიმართ“, რომელიც სწო-
რეთ საყურადღებოა ყოველ ქართველისთვის.

დიდათ ვწუხვართ, რომ ჩვენი სასიქადულო
მკასანი აკაკო რადაც მიზნების გამო დიდი ხანია არ
ასულდგმულვებს თავისი ცხოველი კალმით „კვალის“
და მის მკთველებს. ეჭვი არ არის, მისი ამდენი
ხნის ღუმილი ძლიერ საკრძნობი არის ყოველი ქარ-
თელისთვის, რადგან, სიმატლევ უნდა მოგახსენოთ,

საქვე ღმობქმედო საქმე *)

მით ამაჟობდა „აკალიც“ და მით ესულდემულობ-
ლით ჩვენც, მისი მკითხველები.

ჩვენც, ქუთაისის ქართველი ახალგაზღობა, და
ბევრი კერძო პირიც თანაუტერძობთ იმ ას თერთ-
მეტ კაცს და უმორჩილესი ვულწრფელი თხოვნით
მიემართათ ჩვენს ხმა ტუბილ მგოსანს ბნ აკაცის,
რომ, რაც უნდა დიდი განხეთქილება იყოს თქვენ
შორის, მაინც დათმოს ყოველი იმ საქმისთვის, რომ-
ლისთვისაც მას ამდენ ხანს არაფერი დაუშურავს. ისეც
იკისროს თქვენ პატივცემულ ვაჭრე „აკალიც“ თანა-
მშრომლობა და ჩვეულებრივ დაგვატუბოს თავისი
საუტსხოვო სიმთა ძლერით. —

ოთხმოც-და-ხუთი ახალგაზღა ქართველის მიერ
ხელ მოწერილია.

ყვირილიდანაც ამ გვარივე წერილი მივიღეთ,
რომელზედაც სამოც-და ოთხი კაცი ხელს აწერს.

„აკალიც“ რედაქციას არავითარი უკმაყოფილება
ჩვენ სსიპაქულო ზოტ აკაცისთან არც ქჷნან და არც
ქენება. „აკალიც“ ყოველთვის ამაჟობდა, აკაცის თანა-
მშრომლობით. მაგრამ რა უნდა ქნას ქართულმა, სსშუ-
ალებით სელმოკლე რედაქციამ, რომ ჩვენს სსიპაქულო
ზოტს მისი შესაფერი შრომის ჟიღლო ვერ მიაუღებნას
და აკაცეც რომ ზეგის წმინდა არსება არ არის, რომ
უსაზრდოვით გაძლოს. აი, ამ ვარქმობას უნდა მიაქციონ
ურდადლებს აკაცის კაღმის შოტრფივლით. თუ აკაცის
თავისი ღონე და ძალა, სანამდის შექლება, არ დუშუ-
რება თავის ერსთვის, მაშ ის ერიც არ უნდა მოეძვეს
უმაღრეს თავის დეაქლ-შემოსილ ზოტს. გაჭირვებით
გულ-დათოთქულ ზოტს სმინათ უსაკევედრნა, რომ
ორმოტი წელიწადი ვეშსურება ჩემს ერს და ჟერ მის-
გან შესაფერი ჟიღლო არა მასსოგ-რარე. „აკალიც“ რე-
დაქცია გი დღემდე თავის გამოცემის სარტესაც ვერ ჭიფ-
რავს, მაშასადამე ის წელიღი, რომელიც „აკალიც“ რე-
დაქციას მიუწოდება ზოტისთვის, სდ დაეკმაყოფილებო-
და მის დღიურ ზრუნვას. ამისთვის ვინც ასე გულ-შურ-
ვლეთ ექვს აკაცისკან სულიერ საზრდოს მოზოუბას,
მისი ზირადი ვლდებულებაც უნდა იყოს შევიდეს რე-
დაქციის მდგომარებაში... ნუ თუ ჩვენ ზოტს
უნდა უსაკევედროს ვინმე: თუმცა შენი შრომის შესა-
ფერი ჟიღლო არ მოკუტავ რედაქციას, მაგრამ შენი მანც
მოკაჯლე სარ თანამშრომლობა გასწო და უსაშუალობით
ამოიხადო სულით.




ახლასტონო რედაქტორო, უმორჩილესათ გთხოვთ,
თქვენი პატივცემული ვაჭრე „აკალიც“ სსშუ-
ალებით მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ ზირთ,
რომიელთც შემიწება აღმომხიანეს სწავლის გასარტო-
ბათ: 3 მან. კნ. ელ. წერეთლისს და დ. კურსულის.
2 მან. — ბ. გინსურს და ბ. კანცის. თითო მანათი:
— თავ. 2. ანამიქს, თავ. გ. იუვანბეკოვს, ა. ვარტანი-
ანს, ნ. ლეჟავს, ლ. ანდრეაქს, ს. ზესოვს, ს. ჟადა-
ლოვს, თ. ნანიაშვილს, გ. ჭაბრანს, გ. ჟღერტს, ირ.
ერქოზიაშვილს, ლ. ძამისტარაშვილს, ბ. დუდუჩავს, ი.
მიქაქეს, ე. დლორტის, ანდულოვლის, ანდუშვიდშვილს,
გ. მოღაზაქეს, თავ. ფ. წერეთელს, მ. მდავანს, ი. გამ-
ურელიას, ე. ჟადალოვს, კერძაძის, ა. სოსიაშვილს, გ.
იერეკემს, ელ. შუადას, ლ. ანამიქს, ნ. ბუგაჩიშვილს,
გ. აუკერინოს, ი. ვამიქეს და ნავაშეს, ს. ს. კვიციანი-
ქის. 50 კაბ. — ი. დუდუჩიშვილს, მ. მაჭავარიანისს, მ.
შარვის და ე. ჩაგვაქას. 40 კაბ. — ა. ინგუროვს. 30
კაბ. — ი. მაჭავარიანს და თითო ანაზი: — ა. ლექსიუგს და
დ. მაჭავარიანს — სულ 46 მ. და 10 გ., განსაკუთრებით
დიდი მადლობას გუღვნი ბნ თ. კიკაბაქს, რომელმაც
თავის მხრით გამოიღო 2 მ. და 50 გ., და ფულის შე-
კრების შრომა მიიღო.

გ. ინგუროვა.

ქნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, ნება
გებოძოთ თქვენი პატივცემული ვაჭრე „აკალიც“ სს-
შუალებით უგულოთადესი მადლობა გამოუცხადოთ რა-
ტის მახრის უფროსის მუღღეს ივლ. ნიკ. ასულს ეი-
ფიანისს, რომელმაც მიიღო შრომა და რწმუნებულ ნე-
მდამო სორის სამრკელო სკოლის სასარტებლოთ შეგ-
როვა სსკა. და სსკა პატივცემულ ზირთაგან 30 მ. 75
კაბ. და ტადომცა მე საჭირო წიგნების და სსწავლო
ნივთების მოსაზოვლათ ღარბო მოწათყვითავის. სიას შე-
მიმწირველთა: ორორი მანათი: ზ. რ. ეფიანმა, ა. ს.
სურ. აკალიანმა, მარტოქმედიკმა. თითო მანათი: ე. გ.
ეფიანმა, დომ. ეფიანმა, ოტ. გიორგობიანმა, რამ.
მსიუიქმ, ნ. ე. მრკელიშვილმა, ბატ. ქავთარაქემ, ივ. ბა-

*) რედაქცია ბოდიშს ისდის, რომ უნდაცხადოს
გამო გვიანდებს საჭველ-მოქმედო სიუბის დასტამება.



ქრსტი, დ. გოცირიძე, შარ. გაბრეღიძე, თაგ. კოსტ. ნუღუაძე, გ. დ. გუნდიანძე, ვ. ჟანოქიაძე, მიშა ბიძია-
ლაშვილი, ალ. კვიციანი, ივ. ა. ჟაფარიძე, სიმ. გ. ჟაფარიძე (მისთვის მარშალია), მდ. შიღ. ლანდია, ბიჭია-
შოშ. გოცირიძე, მდ. ნეს. ჟაფარიძე, დ. გ. კვიცი-
ანი, ივ. ბაქრაძე, ათ ათი შაჟირი: ივ. ბიძიაშვილ-
ი, სურ. სუგიაშვილი, კულ. სუგიაშვილი, ან. ლუარ. მარ-
შალიანი, ან. მდ. იოს. ჟაფარიძე, თაგ. კოსტ. ჟაფარიძე.
ქვესი შაჟირი ან. მინა გოცირიძე, სუთი შაჟირი: ივ. ილ. ჟაფარიძე. ერთი პანა: დავ. კერ-
სულიძე.

სორის სმრეკ. სკოლის მხსნე. ონი-
სიმე შინდელი.

ბერიძეს, რომელიც გახეთ „ივერიაში“ (ნომრი არ მ-
ხსოვს) აწიბდა: „უკეთეს სოფ. სიღისთავში გამოხდ-
ბა ვინმე, რომ წიგნთ სცდვის განსახს ითაგესო, ჩემდ
თავთ შემწირავს 70 ანათიო“. აჰ, ბ-ნო გოცირი-
ძე! გამოხდენ ბ.ბ. ბერეჟიანებ, რომლებმც ბიბლიო-
თეკა დავიანსეს, სსლი გვიიდეც, მხოლოთ წიგნების
კერ ფრად სიღარბიუ და მოველით თქვენ უსე შემო-
წირულეას, რომელიც უკვკვალას სამეთსველას ფესზე
დაეუენეს. ადრესი: Чохатаური-Хидистави, Хидистав.
Народной Библиотеки.

შოღ კალანდაი.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ბ. თ. კრეტილი

ქნო, რედაქტორო. უმორჩილესთ გოსოგოთ, ნება
გვიბოძოთ თქენი პატრიტეკული გაზეთი „კვალის“ სა-
შუალებით უგულთადესი მადლობა გამოუგონადოთ ქნ
იგლ. ბიჭიას ასულს იონისიანისს, რომელმც გითილ
ინება და შემწეობა აღმოუჩინა დ. სიღისთავის სასჯლო
სამეთსველას საღამოს გამართოთ და გერო შემოწი-
რულეით შექვინას 60 მანათი და რამდენიმე წიგნი.
შემოწირველთა სა: გ...! 0—, იოსებ ჭიღ...— მ შ,
მისრან ანანოვა მ შ, ივლიტა ი..., სარგის იო..., დი-
დამ ჩი..., ალ. საყვარელიძე, პ...მა სამ სამი მანეთი და
ი... 1 შ.

აგრეთვე მადლობას ვუწახდებთ ქნ ვერს სიმ. ასუ-
ლს, კნიაჟ. ეპრაჟ. ლორთქიფანიძისს, კნიაჟ. გეტო ლო-
რთქი... ანეტას, რომელმც დიდა თანაგრძობა და და-
სმარება აღმოუკინინეს.

სიღისთავის სამეთსველას ერთი დამსმ-
რებულთაგანი გოგოლი დიმიტ. ასული
ბერეჟიანისა.

ქნო რედაქტორო, გოსოგოთ თქენი პატრიტეკუ-
ლი გაზეთი „კვალის“ საშუალებით უგულთადესი მად-
ლობა გამოუგონადოთ შემდეგ პირთ: თ. რ. კრისთავს,
ვ. ჭიჭინაძეს, ის. კალანდაძეს, ლეო. მამლაძეს, ილ. ბე-
რიაძეს, გ. ჭავჭავაძეს, მაქ. შარაძეს, მ.მ.—ს, რომელთაც
არ დაიშურეს და შემოსწირეს სიღისთავის სასჯლო სა-
მეთსველას პირთულ რუსული წიგნები .ნ ცალი და
ფულთ 1 მ. 70 კ. იმედია, სხვებც მიბაძვენ ამათ მ-
გლისთ. ურიგო არ იქნება, აკვე მოგაგონო ბ-ნ გოცირი-

გამოვიდა ახალი წიგნი
ზანგი და თითრი
შვიდი ცინკოგრაფიული ნახტიო,
ჯაჯილის გამომცემა
ფ. სი 15 კაპ, ხოლო საზუქრათ, ვარაყინ ყდა
შვი, ელირება 1 მან. 20 კაპ. იყიდება „წერა-
კითხვის საზ.“ წიგნთ-საცავში და „ჯაჯილის“
რედაქციაში,

გბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე.
საგინოვისა, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფე-
რალი წამლებით) დღის იქით გაიყიდება „პალის“
რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაზავნი ფოსტის ხარ-
ჯი 30 კ.)